საქართველოს გენერალური პროკურატურა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

დოკუმენტში წარმოდგენილია:

- ⇒ *2020 წლის 6 თვეში განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები;*
- ⇒ *2020 წლის 6 თვეში ძალადობის მსხვერპლი და რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების შესახებ მონაცემები;*
- ⇒ *ინფორმაცია არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის შესახებ*

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

2020 წელი

სარჩევი

1. შესავალი 3

1.1. ანალიზის მიზანი და საფუძველი 3

1.2. ანალიზის საანგარიშო პერიოდი და მეთოდოლოგია 3

1.3. ანალიზის შედეგები 4

2. განრიდება-მედიაციის პროგრამის 2020 წლის 6 თვის შედეგები 6

2.1. 2020 წლის 6 თვის განრიდება-მედიაციის პროგრამის საერთო სტატისტიკური მონაცემები 6

2.1.1. განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა საერთო მაჩვენებელი *6*

2.1.2. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა *8*

2.1.3. განრიდების მაჩვენებელი სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით *10*

2.1.4. არასრულწლოვნის წესით განრიდების მაჩვენებელი დანაშაულის სახის, კატეგორიისა და დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით *11*

2.2. მედიაციის მაჩვენებელი 14

2.3. განრიდების სტატისტიკა სტრუქტურული ერთეულების მიხევით *17*

2.4. განრიდების პროცესის მიმდინარეობა და შედეგები 2020 წლის 6 თვეში *20*

2.4.1. გადაწყვეტილების მიღების დროულობა *20*

2.4.2. განრიდებამდე სისხლის სამართლებრივი დევნისა და განრიდების მიზნით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი *22*

2.4.3. განრიდების ხელშეკრულების პირობები და ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი *23*

3. 2020 წლის 6 თვის ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები 25

3.1. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სტატისტიკა 2020 წლის 6 თვეში 25

3.1.1. ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა *25*

3.1.2. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი დანაშაულის სახის, კატეგორიისა და დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით *27*

3.2. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სტატისტიკა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით 29

3.3. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობა 31

3.3.1. გადაწყვეტილების მიღების დროულობა და დასაბუთებულობა *31*

3.3.2. ბრალდებულ არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი *33*

3.3.3. არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი *35*

3.3.4. არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები *37*

4. კანონიერი-საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობის მაჩვენებელი მართლმსაჯულების პროცესში 39
5. რეფერირების მექანიზმი 41
6. არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი 43
7. დასკვნა 44

1. შესავალი

1.1. ანალიზის მიზანი და საფუძველი

საქართველოს პროკურატურისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც სისტემას საშუალებას აძლევს მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები და დასახოს არსებული გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზები.

ზემოაღნიშნული მიზნით საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ყოველ 6 თვეში ერთხელ ხდება სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და მონაცემების ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა ვნახოთ ცალკეული მიმართულებით არსებული ტენდენციები, დავინახოთ პრაქტიკაში არსებული პრობლემები და დავგეგმოთ მათი გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები.

წარმოდგენილ ანალიზს საფუძვლად უდევს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები.

სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი 2016 წლიდან დაინერგა. 2019 წელს მონიტორინგის სიტემა განახლდა გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით.

მონიტორინგის შედეგები სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასთან ერთად საშუალებას იძლევა დამუშავდეს ისეთი სახის მონაცემები, რომლებიც ასახავს სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილებების მიღების დროულობასა და დასაბუთებულობას.

შესაბამისად, მონიტორინგის შედეგების ანალიზის მიზანია ერთის მხრივ, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, მეორეს მხრივ, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც შემდგომ საანგარიშო პერიოდში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

1.2. ანალიზის საანგარიშო პერიოდი და მეთოდოლოგია

წარმოდგენილი ანალიზის საანგარიშო პერიოდი გახლავთ 2020 წლის 6 თვე. კერძოდ, ანალიზში მოცემულია 1 იანვრიდან - 30 ივნისის ჩათვლით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად განრიდებულ არასრულწლოვანთა, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა და ბრალდებულ არასრულწლოვანთა შესახებ ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების, დანაშაულთა კატეგორიებისა და სახეების მიხედვით. აღნიშნული პერიოდის მონაცემები კი შედარებულია წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც საშუალებას გვაძლევს დინამიკაში დავინახოთ სტატისტიკური ინფორმაციის ცვალებადობა, განვსაზღვროთ ტენდენციები და სამომავლო ნაბიჯები.

ანალიზის განხორციელებისას მონაცემების დამუშავება მოხდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- განრიდების და სისხლისსამართლებრივი დევნის საერთო მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ თვეების მიხედვით;
- განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა;
- მედიაციის მაჩვენებელი;

- განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სახე და კატეგორია;
- განრიდებულ და ბრალდებულ პირთა მაჩვენებელი გენდერული ნიშნისა და მოქალაქეობის მიხედვით;
- განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების ვადები;
- განრიდების პროცესში და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას ცალკეული გადაწყვეტილებების მიღების დროულობა;
- განრიდების მიზნით სასამართლოდან საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი;
- ხელშეკრულების პირობები;
- საანგარიშო პერიოდში განრიდების ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები და რეციდივი.
- არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და განრიდების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა;
- კვალიფიკაციის შესაბამისობა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან;
- არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები;
- არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები;
- გამოძიების პროცესში არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერება;
- არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა და დევნის განხორციელების მიზანშეწონილობა;
- არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი და დაკავების საფუძვლები.

წარმოდგენილ ანალიზში ასევე მოცემულია ინფორმაცია რეფერირებისა და არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ.

1.3. ანალიზის შედეგები

2020 წლის 6 თვის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ანგარიშში დეტალური სახით მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა;
- არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელი;
- განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით - თბილისი და თბილისის რაიონული პროკურატურების, საოლქო და რაიონული პროკურატურების, გენერალური პროკურატურის მიხედვით;
- განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის სახისა და კატეგორიის მიიხედვით;
- დაზარალებულთა ჩართულობის დონე განრიდების პროცესში და მედიაციის მაჩვენებელი;
- განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობის მაჩვენებელი დანაშაულის ჩადენასა და სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლების გამოკვეთასთან მიმართებით;

- განრიდების ხელშეკრულების ხანგრძლივობა;
- განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის მაჩვენებელი;
- განრიდებამდე დევნის დაწყების მაჩვენებელი და სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებულ საქმეთა რაოდენობა;
- სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი და განრიდებაზე უარის თქმის მიზეზები;
- დევნის დაწყების, სასამართლოში საქმის წარმართვის, განაჩენის გამოტანის დროულობის შესახებ ინფორმაცია;
- ბრალდებულ არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი და დაკავების საფუძვლები;
- ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები;
- არსებითი განხილვისა და საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი;
- არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები.

2. განრიდება-მედიაციის პროგრამის 2020 წლის 6 თვის შედეგები

2.1. 2020 წლის 6 თვის განრიდება-მედიაციის პროგრამის საერთო სტატისტიკური მონაცემები

2.1.1. განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა საერთო მაჩვენებელი

განრიდება-მედიაციის პროგრამა 2010 წლიდან მოქმედებს. ეს გახლავთ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართ, რომელმაც ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა, არ არის ნასამართლევი, წარსულში განრიდებული და აღიარებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, მიღებულ იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების გადაწყვეტილება. ამასთან, განრიდება-მედიაციის პროგრამა, ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, რეციდივის თავიდან აცილებას და მოზარდის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. 2016 წლიდან განრიდება-მედიაციის პროგრამის მოქმედების ფარგლები 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც გავრცელდა.

2010 წლიდან 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სულ განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 4627 პირი, საიდანაც 3011 პირი არასრულწლოვანი, ხოლო 1616 პირი - 18-დან 21 წლამდე ასაკისაა.



რაც შეეხება 2010-2020 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა რაოდენობას წლების მიხედვით, მონაცემები შემდეგია:



სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადად მიუთითებს, რომ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ მზარდია. თუმცა 2020 წელს პანდემიამ განრიდება-მედიაციის პროგრამაც დააყენა გამოწვევების წინაშე.

როგორც გრაფიკიდან ჩანს 2020 წლის 6 თვის მონაცემები საკმაოდ დაბალია. 2020 წელს 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით განრიდებული იქნა 101 არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის 98 პირი, სულ - 199. მიმდინარე პერიოდში განრიდების დაბალი მაჩვენებელი განპირობებული გახლდათ COVID19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის N120 ბრძანებაში, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ," განხორციელდა ცვლილებები, შემოღებული იქნა განსაკუთრებული ღონისძიებები, რომელთა თანახმადაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდით შეჩერდა განრიდება-მედიაციის პროგრამა, გარდა იმ სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებზეც იწურებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.

გრაფიკიდან ასევე იკვეთება, რომ განრიდების მაჩვენებლის განსაკუთრებულად მკვეთრი ვარდნა ფიქსირდება 2014 წელს 2013 წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო 2013 წლის დეკემბრის თვეში სისხლის სამართლის კოდექსის 238[1] მუხლში განხორციელებული ცვლილებით, რომლითაც აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია მოხდა (2013 წელს განრიდებული 331 პირიდან 209 მათგანი განრიდებული იყო სწორედ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის).

ოდნავ შემცირებული იყო განრიდების მაჩვენებელი 2019 წელს 2018 წელთან შედარებით. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელთან განრიდების თანაფარდობის განსაზღვრისას გამოიკვეთა, რომ 2019 წელს შემცირებული იყო ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაც 2018 წელთან შედარებით, რაც არა განრიდების

გამოყენების შემცირებაზე, არამედ არასრულწლოვანთა (14-18 წლის) მიერ ჩადენილი დანაშაულის კლებაზე მიუთითებდა აღნიშნულ პერიოდში.

საინტერესოა 2020 წელს განრიდების გამოყენების ტენდენცია თვეების მიხედვით.



როგორც გრაფიკიდანაც ჩანს, განრიდების გამოყენების მაჩვენებელის მკვეთრი ვარდნა სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც პანდემიის გამო განრიდება-მედიაციის პროგრამაში განსაკუთრებული ღონისძიებები ამოქმედდა.

2.1.2. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „არასრულწლოვანთა მიმართ პირველ რიგში განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.“

აღნიშნული ნორმა მკაფიოდ მიუთითებს პროკურორის ვალდებულებაზე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პრიორიტეტულად იმსჯელოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმიდან გამომდინარე განრიდების მაჩვენებელთან ერთად აუცილებელია განისაზღვროს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განრიდების გამოყენების თანაფარდობა. წლების მიხედვით განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ასე გამოიყურება:



იმ პირობებშიც, კი როდესაც 2020 წლის პირველ ნახევარში სისტემას მოუწია განრიდება-მედიაციის პროგრამა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოეყენებინა, განრიდების მაჩვენებელმა არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელთან მიმართებით 44% შეადგინა. წლების მიხედვით განრიდების პროცენტული მაჩვენებელი განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაში ასე გამოიყურება:



კიდევ უფრო საინტერესოა განრიდების მაჩვენებლის თანაფარდობა იმ არასრულწლოვანთა მიმართ დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელთან, რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების პირობებს, მაგრამ პროკურორმა დისკრეციული

უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით: დანაშაულის ხასიათი, დანაშაულებრივი ქმედების განმეორების რისკი და ა. შ. მიიღო არასრულწლოვნის ბრალდების შესახებ გადაწყვეტილება.

2019 წლის მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი 74% გახლდათ. რაც შეეხება 2020 წლის 6 თვის სტატისტიკას - 2020 წლის 6 თვეში ბრალდებული 129 არასრულწლოვნიდან 77 აკმაყოფილებდა განრიდების პირობებს, საიდანაც 7-ის მიმართ დაიწყო განრიდების პროცედურები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, მაგრამ მათ მიმართ მოგვიანებით შეწყდა განრიდება და მიღებული იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება. ამდენად, 70 ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ სახეზე გვქონდა განრიდების გამოყენების ფორმალური პირობები. თუ შევადარებთ 2020 წლის 6 თვეში განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას, იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, განრიდების ხვედრითი წილი 59% იქნება.

2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი იმ საქმეებთან მიმართებით სადაც განრიდების გამოყენების კანონით დადგენელი საფუძვლები არსებობდა



2.1.3. განრიდების მაჩვენებელი სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით

2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებული 199 პირიდან 196 საქართველოს მოქალქე, ხოლო **3 უცხო ქვეყნის მოქალაქე** გახლდათ, საიდანაც 1 არასრულწლოვანი მავრიტანიის, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის 2 პირი აზერბაიჯანის მოქალაქეა.





რაც შეეხება განრიდებულ პირთა მაჩვენებელს გენდერული ნიშნით - გამომდინარე იქედან, რომ მამრობითი სქესის არასრულწლოვნებში და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია მდედრობითი სქესის პირებთან შედარებით, ბუნებრივია განრიდების გამოყენების მაჩვენებელიც მაღალია მამრობითი სქესის პირთა მიმართ.

2020 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით, 101 არასრულწლოვნიდან 93 მამრობითი სქესის პირია, ხოლო 8 - მდედრობითი სქესის, 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებული 98 პირიდან კი მამრობითი სქესისაა 89, ხოლო მდედრობითი სქესის - 9.

2.1.4. არასრულწლოვნის წესით განრიდების მაჩვენებელი დანაშაულის სახის, კატეგორიისა და დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით

სამართლებრივი სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება დანაშაულის კატეგორიის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია მით უფრო მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდებასთან მიმართებაში. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი/18-დან 21 წლამდე ასაკის პირი განრიდება-მედიაციის პროგრამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშული ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიისაა. განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშულებზე განრიდება-მედიაციის პროგრამა არ ვრცელდება.

როგორც წესი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშულებზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელს. თუმცა ბოლო პერიოდში მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდება სულ უფრო აქტიურად გამოიყენება.

2020 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების საერთო რაოდენობაში მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების მაჩვენებელი 35%-ია, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 65%. კერძოდ, სულ განრიდებული 199 პირიდან მძიმე კატეგორიის დანაშული ჩადენილი ჰქონდა 69 პირს, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული 130 პირის.

2018, 2019 და 2020 წლებში მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების მაჩვენებელი თითქმის იდენტურია. 2018 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდება გამოყენებული იქნა 36% შემთხვევაში, ხოლო 2019 წელს - 32% შემთხვევაში.



საერთო მაჩვენებლისგან განსხვავდება მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი არასრულწლოვნისა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ. 101 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 48 არასრულწლოვანს (48%), ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 98 პირიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 21 პირს (21%).

მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ წლების მიხედვით შემდეგია:



დანაშაულთა ერთობლიობის დროს განრიდების მაჩვენებლის დათვლა დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაბამისად მოხდა. თუმცა, მნიშვნელოვანია დანაშაულთა ერთობლიობის რაოდენობის განსაზღვრა და დადგენა რა კატეგორიის დანაშულთა ერთობლიობა გვქონდა სახეზე არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების შემთხვევაში.

2020 წლის 6 თვის მონაცემებით საკმაოდ დაბალია დანაშაულთა ერთობლიობაზე არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი. 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან დანაშაულთა ერთობლიობა სახეზე გვქონდა 20 (20%) შემთხვევაში, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის 98 განრიდებული პირიდან - 12 (12%) შემთხვევაში.



დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 20 არასრულწლოვნიდან 10 შემთხვევაში სახეზე გვქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა, 6 შემთხვევაში - მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა, ხოლო 4 შემთხვევაში - მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა. დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 12 პირიდან კი 10 შემთხვევაში სახეზე გვქონდა ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა, ხოლო 2 შემთხვევაში - მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა.



2020 წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ისევე როგორც გასულ წლებში განრიდებულ პირთა მიერ ძირითად შემთხვევებში ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. 2020 წლის 6 თვეში 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 54-ს (53%), ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 98 პირიდან - 40-ს (41%). დეტალური მონაცემები განრიდების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგია:





2.2. მედიაციის მაჩვენებელი

განრიდების ფარგლებში მედიაციის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ. პროკურატურისთვის მედიაციის პროცესის წარმართვა და წარმატებით დასრულება განსაკუთრებით პრიორიტეტულია, ვინაიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისა და დაზარალებულს შორის აღდგენილი კომუნიკაცია, მათი გულწრფელი საუბარი ერთის მხრივ ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას არასრულწლოვნის მიერ და მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს შემდგომი კონფლიქტის გაგრძელების რისკს, უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების რეალიზებას და პროცესის დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით მიმდინარეობას უზრუნველყოფს.

ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე პროკურატურა მუდმივად აკვირდება მედიაციის მაჩვენებელს და აანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ ტენდენციებს.

2020 წლის მონაცემებით 199 განრიდებული პირის სისხლის სამართლის საქმიდან 24 შემთხვევაში სახეზე არ გვყავდა დაზარალებული. დარჩენილი 175 შემთხვევაში 69 პირის მიმართ იქნა გამოყენებული მედიაცია, რაც 39%-ს წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2019 წელთან შედარებით. 2019 წელს მედიაციის საერთო მაჩვენებელი 54% გახლდათ.



2018-2019 წლებში მედიაციის მატების დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა. 2018 წელს მედიაციის მაჩვენებელმა 39%-იდან 41%-მდე მოიმატა, ხოლო 2019 წელს 54%-მდე. 2020 წლის 6 თვის მონაცემებით კი მედიაციის მაჩვენებელი ეცემა და მხოლოდ 39%-ია. გასულ წლებთან შედარებით მედიაციის საერთო მაჩვენებელი შკალაზე ასე გამოიყურება:



მედიაციის რაოდენობის შემცირებაც ქვეყანაში პანდემიის გავრცელების რისკს უკავშირდება. მედიაციის კონფერენცია გულისხმოს რა რამდენიმე ადამიანის შეხვედრას, აუცილებელი გახდა COVID19-ის გავრცელების შეჩერების მიზნით უარი გვეთქვა მედიაციის კონფერენციებზე. პარალელურად დაიწყო მუშაობა აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ შემუშავდა დისტანციური მედიაციის მექანიზმი, შეიქმნა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები საქართველოს

პროკურატურასთან აქტიური კომუნიკაციით და დღეს უკვე არსებობს შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად მოხდეს მედიაციის პროცესების დისტანციურ რეჟიმში წარმართვა. მექანიზმის დახვეწაზე დანაშაულის პრევენციის ცენტრი განაგრძობს მუშაობას გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

საინტერესოა როგორია მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე განრიდებულ პირთა მიმართ ცალ-ცალკე. როგორც წესი მედიაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია არასრულწლოვანთა განრიდების შემთხვევევაში. აღნიშნული მონაცემები ასაკობრივ ჭრილში შემდეგია:

- 2020 წლის 6 თვეში განრიდებული იქნა 101 არასრულწლოვანი, საიდანაც დაზარალებული ჰყავდა 89 არასრულწლოვნის საქმეს, მედიაციით კი წარიმართა 36 არასრულწლოვნის განრიდების პროცესი. ამდენად, ***<u>მედიაციის მაჩვენებელი 2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ 40%-ია.</u>***
- 2020 წლის განრიდებული იქნა 18-დან 21 წლამდე ასაკის 98 პირი, საიდანაც დაზარალებული ჰყავდა 86 პირის საქმეს, მედიაციით კი წარიმართა 32 პირის განრიდების პროცესი. ***<u>ამდენად, 18-დან 21 წლის პირთა მიმართ განრიდების მაჩვენებელი 37%-ია.</u>***

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ 61%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ 46% იყო.



2020 წლის სტატისტიკური მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ მიმდინარე წლის მთავარი გამოწვევა მედიაციის პროცესის წინაშე მდგარი პრობლემების დაძლევაა.

2.3. განრიდების სტატისტიკა სტრუქტურული ერთეულების მიხევით

2020 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე განრიდებული 199 პირიდან 65 ქ. თბილისისა და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ იქნა განრიდებული, 129 საოლქო და შესაბამისი ოლქის რაიონული პროკურატურების მიერ, ხოლო 5 - საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ.



ზემოთ მოცემული სტატისტიკა, არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ ცალ-ცალკე, შემდეგი სახისაა:



როგორც ვხედავთ სულ თბილისის მასშტაბით განრიდებულია 30 არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის 35 პირი. 2020 წლის 6 თვის მონაცემებით ყველაზე მეტი არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი განრიდებული იქნა გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის მიერ. ქ. თბილისისა და რაიონული პროკურატურების მიერ განრიდებულ პირთა დეტალური მაჩვენებელი ასეთია:



რეგიონების მიხედვით კი 2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი შემდეგია:



რაც შეეხება რეგიონებში რაიონული პროკურატურების მიერ განრიდების მაჩვენებელს, 2020 წლის 6 თვის მიხედვით სტატისტიკა შემდეგია:

2020 წლის 6 თვის განრიდების მაჩვენებელი რეგიონებში



საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანი განრიდებული არ ყოფილა. გენერალური პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განრიდებული იქნა 18-დან 21 წლამდე ასაკის 5 პირი.

2.4. განრიდების პროცესის მიმდინარეობა და შედეგები 2020 წლის 6 თვეში

2.4.1. გადაწყვეტილების მიღების დროულობა

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული განრიდების შესახებ ცალკეულ გადაწყვეტილებათა მიღების დროულობაზე. განრიდების პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით იუსტიციის მინისტრის 2016 წლის პირველი თებერვლის №120 ბრძანებით, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ," გაიწერა ის ვადები, რომლის განმავლობაშიც სოციალური მუშაკი, მედიატორი და პროკურორი ვალდებულნი არიან განახორციელონ ცალკეული ქმედებები. განრიდების პროცესის გაჭიანურების ერთეული შემთხვევების გარდა, ძირითადად განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დროულად ხდება.

2020 წლის 6 თვეში განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგების თანახმად განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დანაშაულის ჩადენიდან პირველ 2 თვეში ხდება. ცალკეულ შემთხვევებში განრიდების შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე თვის შემდეგ არის მიღებული, მაგრამ ეს განპირობებულია საქმეზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არარსებობით, რამდენიმე შემთხვევებში კი პროცედურები სასამართლოდან საქმის დაბრუნების შემდეგ დაიწყო. დანაშაულის ჩადენასთან მიმართებით განრიდების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პერიოდის მაჩვენებელი დეტალურად შემდეგია:



კიდევ უფრო მაღალია განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება პირველივე თვეს სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლების გამოკვეთიდან. კერძოდ, 51% შემთხვევაში განრიდების პროცედურების დაწყების შესახებ დადგენილება გამოტანილი იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლების გამოკვეთიდან 1 თვის მანძილზე.



მნიშვნელოვანია განრიდების პროცედურების რაც შეიძლება სწრაფად დაწყება, მას შემდეგ რაც პროკურორი გაესაუბრება არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს განრიდების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. არასრულწლოვნის მიმართ ძალიან სწრაფად უნდა ხდებოდეს შესაბამისი პროცედურების განხორციელება და პროფესიონალთა მუშაობა, რათა მას არ გაუჩნდეს დაუსჯელობის განცდა და არასწორი დამოკიდებულება განრიდების პროგრამის მიმართ.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ანალიზმა ცხადყო რომ პროკურორებს დადგენილება განრიდების პროცესის დაწყების შესახებ გამოაქვთ არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების დღესვე ან 1-2 დღის ვადაში. კერძოდ, 68% შემთხვევაში არასრულწლოვანთა განრიდების დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანა სწორედ გასაუბრების დღესვე მოხდა. დეტალური სტატისტიკა აღნიშნულთან მიმართებით გრაფიკზეა წარმოდგენილი.



განრიდების პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების დაგვიანებით მიღების რამდენიმე საფუძველი გამოიკვეთა პრაქტიკაში:

- განსარიდებელთან კომუნიკაციის სირთულე;
- დაზარალებულთან კომუნიკაციის სირთულე;

- სოციალურ მუშაკთა რაოდენობრივი სიმცირე და ინდივიდუალური შეფასებების დაგვიანებით განხორციელება;
- პროკურორსა და სოციალური მუშაკის შეხვედრის გაჭიანურება;
- საქმის სასამართლოდან დაბრუნების შემთხვევებში, დედანი საქმის სასამართლოდან გადმოგზავნის დაგვიანება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა ერთეული ხასიათისაა, აუცილებლად საჭიროებს სათანადო რეაგირებს, მომავალში პროცესის ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

განსარიდებელთან განრიდების ხელშეკრულების გაფორმებისთანავე პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება და აუცილებელია პროკურორის მიერ აღნიშნული აისახოს საპროცესო გადაწყვეტილებაში.

როგორც მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, დევნის არდაწყების/შეწყვეტის დადგენილება ძირითად შემთხვევებში ხელშეკრულების გაფორმების დღესვე ან 5 დღის ვადაშია გამოტანილი. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში სახეზეა დადგენილების დაგვიანებით გამოტანის შემთხვევები. 101 განრიდებული არასრულწლოვნის საქმეში 55 (54%) შემთხვევაში დევნის არდაწყების/შეწყვეტის დადგენილება ხელშეკრულების გაფორმების დღესვე იქნა გამოტანილი, 33 (33%) შემთხვევაში კი 1-დან 5 დღემდე პერიოდში. მცირეა უფრო ხანგრძლივი პერიოდის გამავლობაში გამოტანილი დადგენილებების რაოდენობა, თუმცა სახეზე გვაქვს 6 შემთხვევა, როდესაც საანგარიშო პერიოდისთვის პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ დადგენილება გამოტანილი არ გახლდათ.



2.4.2. განრიდებამდე სისხლის სამართლებრივი დევნისა და განრიდების მიზნით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი

2020 წლის მონაცემების თანახმად კვლავ მცირეა განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან სისხლისსამართლებრივი დევნა განრიდებამდე დაიწყო 18-ის მიმართ, საიდანაც 1 შემთხვევაში არასრულწლოვანი მხოლოდ დაკავებული იყო დანაშაულზე წასწრების საფუძვლით, ის მოგვიანებით დაკავებიდან განთავისუფლდა, ხოლო მის მიმართ პროკურორის მიერ ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილება გამოტანილი არ ყოფილა. დანარჩენი 17 ბრალდებულიდან ერთის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა გამოძიების ეტაპზევე შეწყდა, სასამართლოდან კი განრიდების მიზნით დაბრუნდა 16 არასრულწლოვნის საქმე.

ამდენად, 2020 წლის 6 თვის მონაცემებით განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 17%, ხოლო სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 16%-ია.



მიუხედავად იმისა, რომ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებულ სისხლის სამართლის საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი მაღალი არ არის, გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი მატება ფიქსირდება. 2019 წლის ბოლოს განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მხოლოდ 8%, ხოლო სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 6% გახლდათ.

მითითებული სტატისტიკა ყურადსაღებია, თუმცა აღნიშნულის განმაპირობებელ ფაქტორს ამ შემთხვევაშიც კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებები წარმოადგენს. გამომდინარე იქედან რომ განრიდების პროგრამაში ამოქმედდა განსაკუთრებული ღონისძიებები, გადაწყვეტილებები განრიდების შესახებ პრიორიტეტულად მიიღებოდა იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც სასამართლოდან დაბრუნდა და სისხლის სამართლის საქმეთა ხანდაზმულობის გათვალისწინებით საქმეზე განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელ გარემოებას წარმოადგენდა.

2.4.3. განრიდების ხელშეკრულების პირობები და ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი

განრიდების პროგრამის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი მთავარი პირობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალურ შეფასებაში ასახული დამცავი და რისკფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებული განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებაა.

განრიდება-მედიაციის პროგრამა დღემდე დგას ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, ეს არის სერვისების სიმცირე, რაც ართულებს განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებაში ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პირობების გათვალისწინებას. განსაკუთრებით პრობლემური გახდა საკითხი პანდემიის პირობებში, როდესაც პროგრამის ფარგლებში ვეღარ ხდებოდა ჯგუფური და მოხალისეობრივი აქტივობების გამოყენება.

განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობების ანალიზს ყოველწლიურად ახორციელებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი და დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია წლის ბოლოს გამოქვეყნებულ ანგარიშებში. თუმცა, აუცილებელია ამ მიმართულებით ერთიანი ხედვის შემუშავება არასამთავრობო სექტორთან ერთად, სახელმწიფო უწყებებში არსებული სერვისების მოძიება და ბაზის შექმნა.

რაც შეეხება განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობას, 2020 წლის მონაცემების მიხედვით ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი 3-6 თვით არის გაფორმებული. მინიმალური 1 თვის ვადით ხელშეკრულება გაუფორმდა მხოლოდ 1 არასრულწლოვანსა და 18-

დან 21 წლამდე ასაკის 1 პირს. 2020 წლის 6 თვის მონაცემებით განრიდების ხელშეკრულების მაქსიმალური ხანგრძლივობა 8 თვეა.



2020 წლის 6 თვის მონაცემებით ძალიან დაბალია განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული მხოლოდ 2 პირმა ჩაიდინა, რაც 2020 წლის 6 თვეში სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა 2%-ია. გასულ წლებშიც ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი 2-3% გახლდათ.

3. 2020 წლის 6 თვის ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები

3.1. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სტატისტიკა 2020 წლის 6 თვეში

3.1.1. ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობის მიუხედავად, რიგ შემთხვევაში მართლმსაჯულება იძულებული ხდება მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება 14-დან 18 წლამდე ასაკის პირების მიმართაც.

2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელის მცირეოდენი კლება შეინიშნებოდა. 2018 წელს არასრულწლოვანთა დანაშაულის მატების პირდაპირპროპორციულად მომატებული იყო არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით. მონიტორინგის შედეგების თანახმად 2020 წლის 6 თვეში კი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ 129 ერთეულია.



უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი მოიცავს 14-დან 18 წლამდე პირთა მიმართ დევნის დაწყების რაოდენობას სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე საქმეების მიხედვით. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებაზე დევნა განხორციელდა დამოუკიდებლად სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით პირების მიხედვით, მნიშვნელოვანია დაიდენტიფიცირდეს არასრულწლოვნების რაოდენობა, რომელთა ბრალდება სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებზე მოხდა და გვქონდეს ზუსტი სტატისტიკა არა მხოლოდ საქმეთა რაოდენობის მიხედვით, არამედ პირების მიხედვითაც.

2020 წლის 6 თვეში 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 17 არასრულწლოვნის მიმართ 2 ან მეტ სისხლის სამართლის საქმეზე იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში 2 სხვადასხვა საქმეზე დევნა დაწყებული იქნა 10 არასრულწლოვნის მიმართ, 3 სხვადასხვა საქმეზე 3 არასრულწლოვნის მიმართ, 4 სხვადასხვა საქმეზე 3 არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 1 არასრულწლოვანი ბრალდებულად ცნობილი იქნა ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული სტატისტიკის თანახმად 2020 წლის 6 თვეში კანონთან

კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეალური რაოდენობა, რომელთა მიმართაც დევნა 1 ან მეტ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდა გახლავთ 100.[1]



თუ გავითვალისწინებით იმ სისხლის სამართლის საქმეებსაც, რომლებზე არასრულწლოვნებს დანაშაულთა ერთობლიობით წარედგინათ ბრალი დროის სხვა და სხვა მონაკვეთში ჩადენილი დანაშაულის გამო, ფაქტია, რომ არასრულწლოვანთა გარკვეული ნაწილი ხასიათდება დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილებით. არასრულწლოვანთა მიერ დროის მოკლე პერიოდში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ ბავშვების მიმართ სოციალური და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვა, პრევენციული აქტივობების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

როგორც განრიდების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელის ანალიზიც ადასტურებს, რომ დანაშაულს ძირითად შემთხვევაში მამრობითი სქესის ბავშვები ჩადიან. 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან მდედრობითი სქესის მხოლოდ 6 (5%) არასრულწლოვანი იყო, 123 (95%) ბრალდებული არასრულწლოვანი კი მამრობითი სქესისაა.



129 არასრულწლოვნის ბრალდების სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო არასრულწლოვანი უცხო ქვეყნის - უკრაინის მოქალაქე, ყველა დანარჩენ შემთხვევაში არასრულწლოვნების საქართველოს მოქალაქეები იყვნენ.

[1] ანალიზში მონაცემები დევნის განხორციელების ზუსტი მაჩვენებელების წარმოდგენის მიზნით 129 ერთეულის მიხედვითაა წარმოდგენილი.

3.1.2. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი დანაშაულის სახის, კატეგორიისა და დანაშაულთა ერთობლიობის მიხედვით

ზოგადად არასრულწლოვნებში, მათ შორის ბრალდებულ არასრულწლოვნებში მაღალია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. 2020 წლის 6 თვეში ბრალდებული 129 არასრულწლოვნიდან 89-ს (69%) სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგია:



დანაშულთა ერთობლიობის 39 შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლების ერთობლიობისას დაიწყო არასრულწლოვანთა მიმართ სისხლი სამართლებრივი დევნა:

სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულთა ერთობლიობაზე

მუხლი 177-3 (ორი ეპიზოდი)	6
მუხლი 177-3 (სამი ეპიზოდი)	2
მუხლი 177-3 (9 ეპიზოდი)	2
მუხლები 177-2; 177-3; 273'-2 (ორი ეპიზოდი)	1
მუხლები 177-2 (3 ეპიზოდი); 177-3; 273'	1
მუხლები 126-1'; 239	1
მუხლები 137; 143	1
მუხლები 177-2; 177-3(სამი ეპიზოდი)	1
მუხლები 138 (ათი ეპიზოდი)	1
მუხლები 177-2; 178	1
მუხლები 126-1'; 177-3 (სამი ეპიზოდი)	1
მუხლი 177-4 (ორი ეპიზოდი)	1

მუხლები 143; 144'; 284	1
მუხლები 378'; 260	1
მუხლი 177-1 (ოთხი ეპიზოდი)	1
მუხლები 177-2; 177-3	1
მუხლები 177-1; 177-2(ხუთი ეპიზოდი); 177-3 (ცხრა ეპიზოდი)	1
მუხლები 177-2; 177-3; 178	1
მუხლები 177-1; 177-2 (სამი ეპიზოდი); 177-3 (ორი ეპიზოდი); 187-1	1
მუხლები 177-2; 177-4 (ორი ეპიზოდი); 178	1
მუხლები 177-1; 177-2; 177-3 (რვა ეპიზოდი)	1
მუხლები 126'; 177-2; 177-3	1
მუხლები 177-2; 178; 237	1
მუხლები 177-2, 177-3	1
მუხლები 177-3 (რვა ეპიზოდი)	1
მუხლები 177-2; 177-2	1
მუხლები 177-3; 178	1
მუხლი 177-2 (ოთხი ეპიზოდი)	1
მუხლი 178 (ორი ეპიზოდი)	1
მუხლი 177-2 (ხუთი ეპიზოდი)	1
მუხლები 126' (ორი ეპიზოდი); 177-2	1
მუხლები 177-2 (სამი ეპიზოდი); 177-3	1

დანაშაულთა კატეგორიების ანალიზისას, განრიდებისგან განსხვავებული მაჩვენებელი გვაქვს სახეზე, თუ განრიდებულთა უმეტესობას ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 97-ს მძიმე კატეგორიის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, 26-ს ნაკლებად მძიმე, ხოლო 6-ს განსაკუთრებით მძიმე.



ზემოაღნიშნული მაჩვენებელი დანაშულთა ერთობლიობის შემთხვევაში დათვლილია ყველზე მძიმე კატეგორიის დანაშაულის მიხედვით. თუმცა, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში რა კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა გვაქვს სახეზე. როგორც ზემოთ ვნახეთ 39 არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობაზე, საიდანაც 15 შემთხვევაში სახეზე გვქონდა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშულთა ერთობლიობა, მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა - 14 შემთხვევაში. ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა - 7 შემთხვევაში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა - 2 შემთხვევაში, ხოლო 1 შემთხვევაში - ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშულთა ერთობლიობა.



3.2. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სტატისტიკა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით

მოსახლეობის გადანაწილების შესაბამისად ბუნებრივია, რომ დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვნებელი საქართველოს დედაქალაქში ფიქსირდება ყველა სხვა რეგიონთან შედარებით. შესაბამისად, დედაქალაქში ყოველთვის მაღალია არასრულწლოვანთა მიმართ როგორც დევნის დაწყების, ასევე განრიდების მაჩვენებელი. თუმცა, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ქ. თბილისისა და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ აღემატება არა მხოლოდ ცალკეული რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, არამედ რეგიონების მასშტაბით ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასაც. 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 88 არასრულწლოვანი ბრალდებულ იქნა თბილისის მასშტაბით, 39 - რეგიონების მასშტაბით, ხოლო 2 - გენერალური პროკურატურის მიერ.



2020 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თბილისის მასშტაბით არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2017-2018 წლებში არასრულწლოვნ ბრალდებულთა რაოდენობა თბილისის მასშტაბით 55% გახლდათ, 2019 წელს - 54%, ხოლო 2020 წლის 6 თვეში, როგორც



ზემოთ აღინიშნა - 68%-მდეა გაზრდილი.

ქ. თბილისის და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი კი ასეთია:



რაც შეეხება რეგიონებს, 2020 წლის 6 თვის მონაცემებით არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასავლეთის რეგიონში (11 არასრულწლოვანი) დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - მხოლოდ 1, არასრულწლოვანი - შიდა ქართლის რეგიონში.



რეგიონებში პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით 2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი კი წარმოდგენილია გრაფიკზე.



რაც შეეხება საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 2 არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო.

3.3. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობა

3.3.1. გადაწყვეტილების მიღების დროულობა და დასაბუთებულობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ზოგად პრინციპებშივე იმპერატიულ ნორმას ადგენს და მკაფიოდ მიუთითებს, რომ დაუშვებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურება. კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს.

არასრულწლოვანთა მიმართ სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს, რამდენად დროულად ხდება სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული

გადაწყვეტილებები მიღება, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. აღნიშნული მიზნით გაანალიზდა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გამოძიების თარიღთან მიმართებით.

2020 წლის 6 თვის მონაცემების თანახმად 129 არასრულწლოვნიდან 7-ის მიმართ დადგენილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გამოძიების დაწყების დღესვე იქნა გამოტანილი, 49 არასრულწლოვნის მიმართ 1-დან 5 დღის ვადაში, 5 არასრულწლოვნის მიმართ - 6-დან 10 დღის ვადაში, 24 არასრულწლოვნის მიმართ - 21-დან 30 დღემდე ვადაში, 8 არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იქნა 1-დან 2 თვემდე პერიოდში გამოძიების თარიღთან მიმართებით, ხოლო 7 არასრულწლოვნის მიმართ - 2-დან 6 თვემდე პერიოდში. 15 არასრულწლოვნის მიმართ კი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას გამოძიების დაწყებიდან 6 თვეზე მეტი დრო დასჭირდა.



როგორც განრიდების პროგრამის ანალიზის დროსაც მივუთითეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვნის მიმართ პრიორიტეტულად განრიდების გამოყენების შესაძლებლობა განიხილება. იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი აკმაყოფილებს განრიდების კრიტერიუმებს და პროკურორი გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე არ იღებს არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილებას, ვალდებულია გამოითხოვოს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასება და შეადგინოს ოქმი განრიდებაზე უარის თქმის შესახებ. 2020 წლის მონაცემების მიხედვით 129 არასრულწლოვნიდან 77 აკმაყოფილებდა განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, აქედან 7 არასრულწლოვნის მიმართ ბრალდებულად ცნობამდე დაიწყო განრიდების პროცედურები, მაგრამ მოგვიანებით შეწყდა 3 არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფუძვლით, ერთი არასრულწლოვნის შეფასება ვერ მოხერხდა სოციალური მუშაკის მიერ და შესაბამისად ვერ გაფორმდა განრიდების ხელშეკრულება, ერთმა არასრულწლოვანმა თავად განაცხადა უარი განრიდების ხელშეკრულების მოწერაზე, ხოლო 2-მა განრიდების ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა. დანარჩენი 70 არასრულწლოვნის მიმართ პროკურორი ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო გამოეთხოვა ინდივიდუალური შეფასება და შეედგინა განრიდებაზე უარის თქმის ოქმი. სამწუხაროდ ინდივიდუალური შეფასებები რიგ შემთხვევებში

გამოთხოვილი არ არის, ცალკეულ შემთხვევებში საქმეზე შედგენილი არ არის განრიდებაზე უარის თქმის ოქმი. მიუხედავად ერთეული შემთხვევებისა მნიშვნელოვანია აღნიშნული ხარვეზი პრაქტიკაში აღმოფხვრილ იქნეს.

3.3.2. ბრალდებულ არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება.“ აღნიშნული ნორმის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც თავისუფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება.

2020 წლის 6 თვის მონაცემების თანახმად 129 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილება, დაკავებული იყო 50 არასრულწლოვანი. ამდენად, საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელმა 39% შეადგინა.



დაკავებულ არასრულწლოვანთა უმრავლესობას მძიმე კატეგორიის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. 50 არასრულწლოვნიდან 42-ს (84%) ჩადენილი ჰქონდა მძიმე კატეგორიის დანაშაული, 2-ს (4%) განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, ხოლო 6-ს (12%) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.



დაკავებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით კი შემდეგი სახისაა:

2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთ დაკავების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით



50 არასრულწლოვანიდან სასამართლო განჩინების საფუძველზე დაკავებული იყო მხოლოდ 5 (10%) არასრულწლოვანი, დანარჩენ 45 (90%) შემთხვევაში დაკავება გადაუდებელი აუცილებლობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოხდა.



საანგარიშო პერიოდში გაანალიზებული მონაცემების თანახმად განჩინების გარეშე დაკავების საფუძვლები შემდეგი სახის იყო:



აღსანიშნავია, რომ 50 დაკავებული არასრულწლოვნიდან სულ 21 არასრულწლოვანი - 11 პროკურორის, ხოლო 10 მოსამართლის გადაწყვეტილებით, განთავისუფლდა დაკავებიდან.

3.3.3. არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი[2]

2020 წლის 6 თვეში ბრალდებული 129 არასრულწლოვნიდან პროკურორმა სასამართლოს მიმართა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით 110 არასრულწლოვნის მიმართ. ამდენად, არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაყენების მაჩვენებელი 85%-ია. 15% შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორს სასამართლოსთვის შუამდგომლობით საერთოდ არ მიუმართავს.



პროკურორის მიერ ძირითად შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა გირაო. სასამართლომაც ყველაზე მეტ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო გამოიყენა.

პროკურორის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი 2020 წლის 6 თვეში ბრალდებულა არასრულწლოვანთა მიმართ შემდეგია:

2020 წლის 6 თვეში ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი

მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება	**გირაო**	**51**
შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება	გირაო	39
	აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება	8
	მეთვალყურეობაში გადაცემა	2

[2] ვინაიდან ანგარიში ხორციელდება 2020 წლის 6 თვის განმავლობაში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მასში წარმოდგენილი მონაცემები აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მოცემულია მხოლოდ იმ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, რომელთაც ბრალდება 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით წარედგინათ. შესაბამისად, მონაცემები განსხვავდება ზოგადად არასრულწლოვანთა მიმართ 2020 წლის 6 თვის მანძილზე მოთხოვნილი და შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების მაჩვენებლისგან, რადგან 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ შესაძლოა აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იქნა 2019 წელს ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ.

	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	2
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება	**მეთვალყურეობაში გადაცემა**	**11**
შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება	მეთვალყურეობაში გადაცემა	11
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება	**პატიმრობა**	**46**
შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება	პატიმრობა	32
	გირაო	6
	საპატიმრო გირაო	4
	მეთვალყურეობაში გადაცემა	2
	დატოვა აღკვეთის გარეშე	2
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება	**შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ**	**2**
შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება	მეთვალყურეობაში გადაცემა	1
	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	1

როგორც ცხრილიდან ირკვევა 110 არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთა მიმართაც პროკურატურამ დააყენა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა, 8 არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. დანარჩენი 102 არასრულწლოვნის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პროკურატურის მიერ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არდაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ია, სრულად დაკმაყოფილდა დაყენებული შუამდგომლობის 46%, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გირაოს ოდენობის ცვლილებით - შუამდგომლობათა 38%, ხოლო სასამართლომ არასრულწლოვანს აღკვეთის ღონისძიების სხვა სახე შეუფარდა არასრუწლოვანთა 14%-ს.

2020 წლის 6 თვეში ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართპროკურატურის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



3.3.4. არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები[3]

2020 წლის 6 თვეში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგების მიხედვით, მიმდინარე წლის 30 ივნისისთვის 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 71-ის მიმართ საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა, საიდანაც 3-ის მიმართ სასამართლომ საქმე განრიდების მიზნით პროკურორს დაუბრუნა და საქმეზე დაწყებულია განრიდების პროცედურები. დარჩენილი 68 არასრულწლოვნის ბრალდების საქმიდან 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სასამართლომ განაჩენი დაადგინა 7 არასრულწლოვნის მიმართ, 61 არასრულწლოვნის მიმართ ჯერ კიდევ მიმდინარეობს საქმის სასამართლოში განხილვა. საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 14 არასრულწლოვნის მიმართ, 44 არასრულწლოვნის მიმართ კი ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზეა საქმე.

ამდენად, 2020 წლის 6 თვეში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმე 30 ივნისის მდომარეობით შემდეგ ეტაპზეა:



როგორც ზემოთ მოცემული სტატისტიკური ინფორმაციიდან ირკვევა 2020 წლის 30 ივნისისთვის განაჩენი სულ 21 არასრულწლოვნის მიმართ დადგა, საიდანაც საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი 67%, ხოლო საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენის მაჩვენებელი - 33%-ია.



[3] ვინაიდან ანგარიში ხორციელდება 2020 წლის 6 თვის განმავლობაში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მასში წარმოდგენილი მონაცემები არასრულწლოვანთა მსჯავრდების და მათ მიმართ გამოყენებული სასჯელების შესახებ მოცემულია მხოლოდ იმ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, რომელთაც ბრალდება 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით წარედგინათ. შესაბამისად, მონაცემები განსხვავდება ზოგადად არასრულწლოვანთა მიმართ 2020 წლის 6 თვის მანძილზე არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელის მაჩვენებლისგან, რადგან 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ შესაძლოა მსჯავრდებული იქნა 2019 წელს ბრალდებული არასრულწლოვანი.

საპროცესო შეთანხმებების 14 შემთხვევიდან 8 დამტკიცდა აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, 5 საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ხოლო 1- წინასასამართლო სხდომაზე.

არასრულწლოვანთა მიმართ 86% შემთხვევაში არასაპატიმრო ხასიათის სასჯელები იქნა გამოყენებული, კერძოდ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები შემდეგია:



4. კანონიერი-საპროცესო წარმომადგენლის ჩართულობის მაჩვენებელი მართლმსაჯულების პროცესში

არასრულწლოვნის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს. ამით 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიმართ სამართლებრივ სივრცეში იქმნება გარანტიები, რომელმაც არასრულწლოვანი მართლმსაჯულების პროცესში ნებისმიერი სახის არასათანადო ზეგავლენისგან უნდა დაიცვას.

საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებზე დასწრების მიზნით, ცხადია პრიორიტეტი ენიჭება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას მართლმსაჯულებაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად კანონიერი წარმომადგენელია: არასრულწლოვნის ახლო ნათესავი (არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)), მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი.

რა თქმა უნდა მართლმსაჯულების პროცესში პრიორიტეტულია ბავშვს მხარს უჭერდეს და მის წარმომადგენლობას ახორციელებდეს კანონიერი წარმომადგენელი, განსაკუთრებით მშობელი. მაგრამ რიგ შემთხვევებში (საქმის ვითარება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, კანონიერი წარმომადგენლის არარსებობა და ა. შ.) პროცესის მწარმოებელ ორგანოს უწევს კანონიერი წარმომადგენლის ნაცვლად სისხლის სამართლის საქმეზე მოიწვიოს საპროცესო წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კანონიერი წარმომადგენლის დასწრება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, პროკურორის/გამომძიებლის დადგენილებით ინიშნება საპროცესო წარმომადგენელი, რომელიც შესაძლებელია იყოს სანდო პირი ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი.

იმის გასარკვევად, როგორია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელთა ჩართულობის მაჩვენებელი, სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზდა თუ რამდენ შემთხვევაში მონაწილეობდა არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი მართლმსაჯულებაში, რამდენ შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ და როგორია კავშირი არასრულწლოვანსა და კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელს შორის.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, 2020 წლის 6 თვეში განრიდებული 101 არასრულწლოვნიდან 77 შემთხვევაში საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს ესწრებოდა კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო 24 შემთხვევაში არასრულწლოვანს დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი, საიდანაც 15 (15%) არასრულწლოვნის მიმართ საქმეში მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი იქნა ჩართული. 129 ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ, კი 82 შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს, ხოლო 47 შემთხვევაში არასრულწლოვანს დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი, საიდანაც 44 (34%) არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მოწვეული იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი. როგორც ვხედავთ, ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო წარმომადგენლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის დანიშვნის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

განრიდებულ არასრულწოვანთა მიმართ კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა



ბრალდებულ არასრულწოვანთა მიმართ კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა



თუ განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობას ავიღებთ, ვნახავთ, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი მართლმსაჯულების პროცესში **26%** შემთხვევაში ერთვება, კერძოდ 2020 წლის 6 თვეში სულ განრიდებული და ბრალდებული 230 არასრულწლოვნიდან 59-ის მიმართ საპროცესო წარმომადგენლად დანიშნული იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი.

5. რეფერირების მექანიზმი

მართლმსაჯულების პროცესში ნებისმიერი სტატუსით მოხვედრილი არასრულწლოვანი, რიგ შემთხვევებში საჭიროებს კომპლექსური ხასიათის დახმარებას, რაც ცდება სამართალდამცავი ორგანოების მანდატს და მოითხოვს უწყებათშორის კოორდინირებულ საქმიანობას არასრუწლოვნის მხარდაჭერისა და მისი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

მაშინ როდესაც, მართლმსაჯულების პროცესი ზრუნავს ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის გამოძიებაზე, ძალადობის მსხვერპლი ბავშვზე სახელწმიფო მექანიზმი უნდა ზრუნავდეს და მართლმსაჯულებასთან ერთად უზრუნველყოფდეს ბავშვის დაცვას განმეორებით ტრამვატიზაციისგან, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, სოციალური ხასიათის ჩარევას, როგორც ბავშვის, ასევე ოჯახის გაძლიერების მიმართულებით.

აღნიშნული მიზნით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომლითაც განისაზღვრა რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების, მათ შორის პროკურატურის უფლება-მოვალეობები ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გადამისამართების დროს. მთავრობის დადგენილების საფუძველზე საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია.

პროკურატურა ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეში აანალიზებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გადამისამართების საფუძვლებს, ზუსტდება ინფორმაცია ბავშვი უკვე ხომ არ არის გადამისამართებული რომელიმე სხვა უწყების მიერ - შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულება. როგორც წესი ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეფერირება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგამოძიებო მოქმედებების დაწყებისთანავე ხდება, მაგრამ თუ პროკურორი ადგენს რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ჯერ კიდევ არ არის ჩართული რეფერირების მექანიზმში რომელიმე სხვა სუბიექტის მიერ, პროკურორი დაუყოვნებლივ იწყებს შესაბამის პროცედურებს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეფერირებისთვის აუცილებელი არ არის ბავშვს დაზარალებულის სტატუსი ჰქონდეს, ეფექტიანი მექანიზმის არსებობა ბავშვისთვის სწრაფი დახმარების აღმოჩენას გულისხმობს, ამიტომ ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმში სავარაუდო მსხვერპლი ბავშვი დაუყოვნებლივ უნდა ჩაერთოს.

2020 წლის 6 თვის მონაცემებით საქართველოს პროკურატურის მიერ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 15 არასრულწლოვანი, საიდანაც 10 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები იკვეთებოდა, 3 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური, 1 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, ხოლო 1 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა.



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის წინაშე დგას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წლამდე) მიუღწეველ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას ეხება. ამ ასაკობრივი კატეგორიის

ბავშვების მიერ სამართალწარმოების პროცესში პროკურორი მხოლოდ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებით შემოიფარგლებოდა. კერძოდ, გამოჰქონდა დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და წყვეტდა გამოძიებას, მაშინ როდესაც არსებობდა აუცილებლობა ბავშვებთან მუშაობის, დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი გარემოებების დადგენის და შესაბამისი ღონისძიების გატარების. სახეზე გვქონდა მნიშვნელოვანი პრობლემა სამართლებრივი მექანიზმების არარსებობის გამო. მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N681 დადგენილებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა კიდევ ერთი რეფერირების მექანიზმი, რომლის მიზანია რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით და შესაძლებლობას იძლევა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის სააგენტოს რეფერირების ცენტრში სამართალდამცავი სისტემის მიერ გადამისამართდეს 7-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი. მთავრობის დადგენილების საფუძველზე გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების ინსტრუქცია და პროკურატურა მიმდინარე წლის მაისის თვიან აქტიურად ჩაერთო რეფერირების მექანიზმში.

2020 წლის 5 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით რეფერირების ცენტრში უკვე გადამისამართებულია 7-დან 14 წლამდე ასაკის 20 არასრულწლოვანი. მათ მიერ ძირითადად ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ქმედება ხშირად რამდენიმე ეპიზოდიანია.



რთული ქცევა როგორც წესი გამოიხატება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სისტემატურობაში, ძალადობრივი ქცევისკენ მიდრეკილებაში, ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ჰქონდა ქუჩაში ცხოვრების გამოცდილებაც.

6. არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი

2016 წელს საქართველოს პროკურატურის ინიციატივით ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოები, რომელიც გახლავთ საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილი საკოორდინაციო მექანიზმი. არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოები აერთიანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, სოციალური მუშაკებს, მედიატორებს, მუნიციპალიტეტების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებს.

ადგილობრივი (რეგიონული) პრინციპის გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით, შექმნილია რვა მულტიდისციპლინური ჯგუფი: თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების მუშაობის მიზანია: უწყებათაშორისი მულტიდისციპლინური მექანიზმების ჩამოყალიბება და მათ შემდგომი გაძლიერება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ბავშვთა კეთილდღეობისა და ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკეული ნორმების ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია და იმპლემენტაცია; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფა.

2020 წლის ივნისში გაიმართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდსციპლინური ჯგუფების შეხვედრები ყველა რეგიონში ინდივიდუალურად. შეხვედრები არსებული პანდემიური ვითარების გათვალისწინებით ონლაინ რეჟიმში წარიმართა. მიმდინარე შეხვედრებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პრევენციული მიმართულების გაძლიერებას, გააქტიურდა თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჩართულობა ჯგუფის მუშაობაში, მოსმენილ იქნა თვითმმართველობებში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია და განხილულ იქნა დანაშაულის პრევენციის ცენტრთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრებზე რეგიონული სპეციფიკის შესაბამისად განხილული იქნა პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, ასევე საკანონმდებლო ხასიათის საკითხები.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. 2020 წლის ივნისში გამართულ ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები.

7. დასკვნა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ სისტემაში არსებული ძირითადი ტენდენციები.

<u>განრიდება-მედიაციის პროგრამა:</u>

- 2020 წლის პირველ ნახევარში COVID19-ის გავრცელების განრიდება-მედიაციის პროგრამა განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა. დღის წესრიგში დადგა რიგი გამოწვევებისა, რომელთა დაძლევა მნიშვნელოვანია შემდგომი შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით: დისტანციური მედიაციის კონფერენციის დანერგვა, არასრულწლოვანთა შეფასებების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით აუცილებელია შემდგომი კოორდინირებული თანამშრომლობის გაგრძელება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან;
- 2020 წლის 6 თვის მანძილზე განრიდებული იქნა 101 არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის 98 პირი, მაშინ, როდესაც 15 მარტიდან 22 მაისის ჩათლით შეჩერებული გახლდათ განრიდება-მედიაციის პროგრამა;
- 2016-2020 წლების მანძილზე მხოლოდ 2020 წლის 6 თვეში დაფიქსირდა სისხლისსამართლებრივ დევნასათან მიმართებით არასრულწლოვანთა განრიდების 50%-ზე დაბალია მაჩვენებელი. განრიდების პროცენტული მაჩვენებელი განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაში 2020 წლის 6 თვის მონაცემებით 44%-ია.
- 2020 წლის მონაცემებით განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა მიმართ 48%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 21%-ია;
- განრიდება ძირითად შემთხვევებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ხდება. 2020 წლის 6 თვეში 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 54-ს (53%), ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 98 პირიდან - 40-ს (41%);
- 2018-2019 წლებში მედიაციის მატების დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა. 2018 წელს მედიაციის მაჩვენებელმა 39%-იდან 41%-მდე მოიმატა, ხოლო 2019 წელს 54%-მდე. 2020 წლის 6 თვის მონაცემებით კი მედიაციის მაჩვენებელი ეცემა და მხოლოდ 39%-ია;
- 2020 წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებული 199 პირიდან 65 (30 არასრულწლოვანი, 18-დან 21 წლამდე ასაკის 35 პირი) ქ. თბილისისა და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ იქნა განრიდებული, 129 (71 არასრულწლოვანი, 18-დან 21 წლამდე ასაკის 58 პირი) საოლქო და შესაბამისი ოლქის რაიონული პროკურატურების მიერ, ხოლო 5 საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, ხუთივე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირია;
- 2020 წლის 6 თვეში განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგების თანახმად განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დანაშაულის ჩადენიდან პირველ 2 თვეში ხდება (61%). ცალკეულ შემთხვევებში განრიდების შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე თვის შემდეგ არის მიღებული, მაგრამ ეს განპირობებულია საქმეზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არარსებობით, რამდენიმე შემთხვევებში კი პროცედურები სასამართლოდან საქმის დაბრუნების შემდეგ დაიწყო. 51% შემთხვევაში კი განრიდების პროცედურების დაწყების შესახებ

დადგენილება გამოტანილი იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლების გამოკვეთიდან 1 თვის მანძილზე;

- 2020 წლის 6 თვის მონაცემებით განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 17%, ხოლო სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 16%-ია;
- 2020 წლის მონაცემების მიხედვით ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი 3-6 თვით არის გაფორმებული. მინიმალური 1 თვის ვადით ხელშეკრულება გაუფორმდა მხოლოდ 1 არასრულწლოვანსა და 18-დან 21 წლამდე ასაკის 1 პირს;
- 2020 წლის 6 თვის მონაცემებით ძალიან დაბალია განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. 101 განრიდებული არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული მხოლოდ 2 პირმა ჩაიდინა, რაც 2020 წლის 6 თვეში სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა 2%-ია.

<u>სისხლისსამართლებრივი დევნა არასრულწლოვანთა მიმართ:</u>

- 2020 წლის 6 თვეში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ 129 ერთეულია. მონიტორინგის ფარგლებში დაფიქსირდა ერთი და იგივე არასრულწლოვნის მიმართ 2 ან მეტ სისხლის სამართლის საქმეზე პარალელურ რეჟიმში სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის ფაქტი. არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების შემდეგ დაზუსტდა, რომ რეალურად სახეზე გვყავდა 100 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 1, 2 ან მეტ სისხლის სამართლისა საქმეზე მიმდინარეობდა საანგარიშო პერიოდში;
- ისევე როგორც განრიდების შემთხვევაში, ბრალდებულ არასრულწლოვნებში მაღალია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. 2020 წლის 6 თვეში ბრალდებული 129 არასრულწლოვნიდან 89-ს (69%) სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი;
- დანაშაულთა კატეგორიების ანალიზისას, განრიდებისგან განსხვავებული მაჩვენებელი გვაქვს სახეზე, თუ განრიდებულთა უმეტესობას ჩადენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 97-ს მძიმე კატეგორიის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, 26-ს ნაკლებად მძიმე, ხოლო 6-ს განსაკუთრებით მძიმე;
- 129 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 88 არასრულწლოვანი ბრალდებულ იქნა თბილისის მასშტაბით, 39 - რეგიონების მასშტაბით, ხოლო 2 - გენერალური პროკურატურის მიერ.
- 2020 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თბილისის მასშტაბით არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2017-2018 წლებში არასრულწლოვნ ბრალდებულთა რაოდენობა თბილისის მასშტაბით 55% გახლდათ, 2019 წელს - 54%, ხოლო 2020 წლის 6 თვეში, როგორც ზემოთ აღინიშნა - 68%-მდეა გაზრდილი;
- 2020 წლის 6 თვის მონაცემების თანახმად 129 არასრულწლოვნიდან 7-ის მიმართ დადგენილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გამოძიების დაწყების დღესვე იქნა გამოტანილი, 49 არასრულწლოვნის მიმართ 1-დან 5 დღის ვადაში, 5 არასრულწლოვნის მიმართ - 6-დან 10 დღის ვადაში, 24 არასრულწლოვნის მიმართ - 21-დან 30 დღემდე

ვადაში, 8 არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იქნა 1-დან 2 თვემდე პერიოდში გამოძიების თარიღთან მიმართებით, ხოლო 7 არასრულწლოვნის მიმართ - 2-დან 6 თვემდე პერიოდში. 15 არასრულწლოვნის მიმართ კი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას გამოძიების დაწყებიდან 6 თვეზე მეტი დრო დასჭირდა;

- 2020 წლის 6 თვის მონაცემების თანახმად 129 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილება, დაკავებული იყო 50 არასრულწლოვანი. ამდენად, საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელმა 39% შეადგინა;
- 2020 წლის 6 თვეში ბრალდებული 129 არასრულწლოვნიდან პროკურორმა სასამართლოს მიმართა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით 110 (85%) არასრულწლოვნის მიმართ;
- პროკურორის მიერ ძირითად შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა გირაო (46%). სასამართლომაც ყველაზე მეტ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო (41%) გამოიყენა;
- არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაყენებული შუამდგომლობების არდაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ია;
- 2020 წლის 6 თვეში ბრალდებულ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაც დასრულდა 86% შემთხვევაში არასაპატიმრო ხასიათის სასჯელი იქნა გამოყენებული;
- 2020 წლის 6 თვეში განრიდებული 101 არასრულწლოვნიდან 77 შემთხვევაში საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს ესწრებოდა კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო 24 შემთხვევაში არასრულწლოვანს დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი, საიდანაც 15 (15%) არასრულწლოვნის მიმართ საქმეში მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი იქნა ჩართული. 129 ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ, კი 82 შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს, ხოლო 47 შემთხვევაში არასრულწლოვანს დაენიშნა საპროცესო წარმომადგენელი, საიდანაც 44 (34%) არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე მოწვეული იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი.

<u>რეფერირება:</u>

- 2020 წლის 6 თვის მონაცემებით საქართველოს პროკურატურის მიერ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 15 არასრულწლოვანი, საიდანაც 10 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები იკვეთებოდა, 3 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური, 1 არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ჰქონდა ადგილი, ხოლო 1 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა;
- 2020 წლის 5 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში გადამისამართებულია 7-დან 14 წლამდე ასაკის 20 არასრულწლოვანი.

<u>არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი:</u>

- 2020 წლის ივნისში გაიმართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრები ყველა რეგიონში ინდივიდუალურად. შეხვედრები არსებული პანდემიური ვითარების გათვალისწინებით ონლაინ რეჟიმში წარიმართა. მიმდინარე შეხვედრებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პრევენციული მიმართულების

გაძლიერებას, გააქტიურდა თვითმმართველობის წარმომადგენელთა ჩართულობა ჯგუფის მუშაობაში, მოსმენილ იქნა თვითმმართველობებში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია და განხილულ იქნა დანაშაულის პრევენციის ცენტრთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრებზე რეგიონული სპეციფიკის შესაბამისად განხილული იქნა პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, ასევე საკანონმდებლო ხასიათის საკითხები. ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები.

საქართველოს გენერალური პროკურატურა,

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი,

სტრატეგიული განვითარების სამმართველო